



# ასპინძის

## სახელოვნო

ასპინძის მუნიციპალიტეტი \* აპრილი. 2019 \* (2)49

„აღლდა მალაღსა, წარმოტყუნა ტყე და მისცა იგი ნიჭად კაცთა, ხოლო „აღსლვა იგი“ რაიმე არს, არა თუ ესე, რამეთუ მთადა იგი პირველად ქუესკუნელთა ქვეყანისათა? რომელი გარდამოჰხდა, იგივე არს რომელი ამაღლდა ზედა ყოველთა ცათა, რათა აღავსნეს ყოველნი“ (ეფეს.4,8-10).

უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამო არს სარწმუნოებაი ეგე თქვენი“ (1 კორ.15.17).

ქრისტე აღდგა მკვდრეთით! ქრისტე აღდგა მკვდრეთით! ქრისტე აღდგა მკვდრეთით! ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვინაჲრგებდეთ და ვიმეგბდეთ ამას მინა.

ყოველადსამღებლონი, მღვდელთმთავარნი, მოძღვარნი, დიაკონნი, ბერმონაზონნი, ძმანი და დანო, მკვიდროსა საქართველოსნი, მართლმადიდებელნი, ზეციური სიხარულით აღვსილი გულით გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

დღეს გამოიხსენება სამყარო – ხოლო და უხილავი ქვეყანა, ქრისტე აღდგა მკვდრეთით, აღსდგოთ მასთნ ერთად, ქრისტე ამაღლდა თავისი დიდებით – ამაღლდით თქვენც, ქრისტე აღდგა საფლავიდან, თქვენც კი ცოდვითაგან იხსენით თავი. განიხივებთ კარნი ჯოჯოხეთისანი, შეიმუშავებთ სიკვდილი, განდგება ძველი ადამი, იშვება ახალი.

ქრისტე აღდგა! ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ მენელსაცხებლე დედებს ეხარათ, დედებმა მოციქულებს აუწყეს, მოციქულებმა თავის სამწყსოს და ახლა მილიონობით ადამიანი აუწყებს ერთმანეთს. სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი სანყისი – ყოველად ძლიერი, ყოველად კეთილი, ყოველად ბრძენი, ყოველის შემოქმედი ღმერთი – ყოველად წმინდა სამება, რომელიც ყველგან არის და ყოველივეს აღავსებს მადლითა თვისითა. იგი თავისი მარადიული ნეტარებისკენ იზიდავს მთელ სამყაროს, რომელიც ადიდებს მას.

ფსალმუნში ვკითხულობთ: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მალაღსა შინა; აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი, აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველნი ვარსკვლავნი და ნათელი, აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელს ცათანი, აქებდით სახელსა უფლისასა, რამეთუ მან თქვა, და იქმნეს, თავადმან ბრძანა, და დაეხადეს. და დაადგინა იგინი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე, ბრძანება დასდგა რომელი არა წარხდეს, აქებდით უფალსა ქვეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი. ცეცხლი, სეტყვა, თოვლი, მყინვარი, სული

ნიავექარისა, რომელნი ჰყოფენ სიტყვასა მისსა, მათნი და ყოველნი ბორცვნი, ხენი ნაყოფიერი და ყოველნი ნაძუნი, მხეცნი და ყოველნი პირუტყვიანი ქვენარმაველნი, და მფრინველნი ფრთოვანი“ (ფს.148 1-4,7-11).

ამ ლეგენდარული ჰარმონიის ურჩობისა და ამპარტავენების გამო, თავისი ნებით განემორა პირველქმნილი ადამიანი. თუმცა შემოქმედს მასზე ზრუნვა არ მოუტოვებია. ეს მდგომარეობა ბასილი დიდმა ასე გამოხატა: „შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ, შენ სონანულად მომიხილვებ და მე ურჩ გექმნები, შენ მხადი და მე გელტვი, ესრეთ ყოველთურთ წინააღმდეგმ შენდა არს ცხოვრება ჩემი“.

და, მაინც, ჩემი საუბარი მინდა

ლის ზემოთ. მორწმუნეებს მარხვის განმავლობაში ხშირი აღსარების საშუალება აქვთ – აღსარება სულს ასუფთავებს.

ხშირად ავადმყოფობა ცოდვებისაგან მომდინარეობს და როგორც კი ადამიანი იწყებს სწორ სულიერ ცხოვრებას – მოძღვრის წინაშე ამბობს გულწრფელ აღსარებას – ეზიარება და ცოდვითაგან თავისუფლდება, – ძალიან მძიმე სწულეებისაგანაც კი იკურნება. ამასთან, ამ წმინდა საიდუმლოს ხშირად მიღებით ფიზიკურ გამოჯანმრთელებასთან ერთად, მისი აზროვნება და მინაგანი სამყაროც იწმინდება და განახლებას განიცდის. ამიტომაც ეწოდება აღსარებას, ზიარებას საკურნებელი სულისა და ხორცისა. საერთოდ, აღსარებისა და ზიარების გარეშე ადამიანის სული

რამ არ არის მომზადებული, ისიც ეზიაროს – ამ დღეს გულწრფელი ნურავინ დარჩება, მაგრამ ეს სიტყვები იმის საფუძველს არ იძლევა, რომ ადამიანმა არ ილოცოს, არ იმარხოს, არ იაროს ნირვალოცვაზე და მერე აღდგომაზე მოვიდეს და ეზიაროს. მაღლი სწორედ იმ ადამიანის ზიარებას ექნება, ვინც მთელი მარხვის განმავლობაში ემზადებოდა ამ დღისთვის.

დიდ მარხვაში შვიდგზის ზეთის ცხების საიდუმლო სხვადასხვა ტაძრებში სხვადასხვა დროს ტარდება, რათა ყველა მორწმუნემ შეძლოს მასში მონაწილეობა. ზეთის კურთხევის საიდუმლო ერთ-ერთია იმ შვიდი საიდუმლოთაგან, რომელიც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაგვიდგინა. ზეთისცხებით,

ეგვიპტიდან გამოსვლასა და ქანაანში გადასახლებას, ხოლო სულიერად, მინიდან ზეციურსაკენ, აღთქმული მინისკენ გადასვლას უკავშირდება. აღდგომის თარიღის გამოთვლა უკავშირდება პასექის დღესასწაულს; როგორც საზარება გადმოგვცემს, მაცხოვრის ჯვარცმა პასექის დღესასწაულზე მოხდა. ეს დღე მოსეს მიერ ებრაელების ეგვიპტის ტყვეობიდან გამოხსნას უკავშირდება.

იგი ლეთის ერის ხელახალ დაბადებას განასახიერებს. ებრაელთა კალენდრის მიხედვით, დღესასწაული აღინიშნებოდა ნისანის თვეში, რაც დაახლოებით მარტის მეორე ნახევრიდან აპრილის პირველ ნახევრამდე გრძელდებოდა. ამ თვის მე-14 დღეს, საღამოს, უნდა დაეკლათ საპასექო კრავი. ამ დღესასწაულით ტყვეობიდან გათავისუფლებას იხსენებდნენ. მაცხოვრის ჯვარცმა სწორედ ამ დღეს მოხდა, რასაც მესამე დღეს აღდგომა მოჰყვა. პარასკევიდან მესამე დღე კვირაა. ამის შემდეგ ყოველი კვირა აღდგომას ახსენებს ადამიანს. თავდაპირველად აღდგომის დღესასწაული ებრაელთა პასექის დღეს ემთხვეოდა, მაგრამ შემდგომ წმინდა ეკლესიის დადგენილებით მოხდა მისი ერთი კვირით გადაწევა. ასე, რომ აღდგომის დღესასწაულს პასექიდან 1 კვირის თავზე ვედღესასწაულობთ. თავის მხრივ, პასექი ბუნიარობის დღეს ემთხვევა, ამიტომაც არის აღდგომის დღესასწაული მოძრავი. პასექის დღესასწაულზე ხშირად აცხობდნენ (უსაფუარო პურებს), ხოლო უკვე მოგვიანებით, გაფუფუნებული კვირის გამოყენების ტრადიცია შემოვიდა. ის ეფუძნება მაცხოვრის მიერ მოყოლილ იგავს საფუარისანი ცომის შესახებ; სასუფეველი ჰგავს საფუარისანი ცომს, რომლის მცირე ნაწილი ცომს აფუფებს; საფუარი მადლის სიმბოლოა – მადლით ხდება ქვეყანაზე ჭეშმარიტი სარწმუნოების გავრცელება, მადლით ხდება ადამიანის მოპოვება სასუფევლისათვის და ცხოვნება. ამიტომ აღდგომის დღესასწაულზე ვამზადებთ საფუარისანი ცომს, რომელიც ტკბილი უნდა იყოს – „ტკბილ ხარ შენ, უფალო და სიტკბობითა შენითა მასწაულე მე სიმართლენი შენი“. ამავე დროს პასკა პურია. უფალი ამბობს: „მე ვარ პური ზეცით გადმოსული“. ვიცით, რომ საზიარებელი ღვინო და პური ლეთის მადლით იკურთხება და გარდაისახება უფლის სისხლად და ხორცად. აღდგომის სიხარულთან ერთად პასკა ასევე ზეციური საზრდოს სიმბოლოა ჩვენი სულებისათვის.

დიდმარხვის ბოლო კვირა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრისტიანებისათვის. მთელი დიდ მარხვა სწორედ მისთვის მზადდება. მთელი დღესასწაული მ-2 მ-3.



### აღდგომა

### ქრისტე აღდგა

დავინყო იმით, რომ აღდგომის დღესასწაულის მოსამზადებელი პერიოდი სრულად მოიცავს დიდ მარხვას, რომლის დადგომისას მორწმუნენი ხშირად ეუსურვებთ ერთმანეთს: „აღდგომის დღესასწაულის განცდა მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სულიერი განწყობით, მარხვით, ლოცვითა და სინანულით გაატარებს ქრისტიანი დიდ მარხვას.“

ადამიანი მთელი სულით და გულით უნდა მოემზადოს აღდგომის მადლიან დღეს უფლის წმინდა ხორცისა და სისხლის მისაღებად. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: ვინც მოვიდა, მაგ-

ღვთის სულის უხილავი მადლით მოგვეტყვება ცოდვები და სულიერი თუ ხორციელი ტკივილისაგან განვიკურნებით. აქვე აღვნიშნავ, რომ სწულზე ზეთისცხების საიდუმლო წელიწადის ნებისმიერ დროს შეიძლება შესრულდეს, თუკი ამას ავადმყოფის მდგომარეობა მოითხოვს.

დიდებულ და თავყანასაცემ აღდგომას, ებრაელების ენაზე, „პასექი“ ეწოდება, რაც ისტორიულად, ებრაელი ერის

## შეხვედის უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფაზებში



28 მარტს ასპინძის კულტურის ცენტრში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სსიპ ნატოსა და ევროკავშირის თაობაზე, საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით (უვიზო მიმოსვლაზე), საინფორმაციო კამპანიის მესამე ფაზის ფარგლებში, მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური

კორპუსის წარმომადგენლები ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, პედაგოგებსა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარი ნიკოლოზ რთველიაშვილი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო დეპარტამენ-

ტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსი ბექა ზარანდია. მათ დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის ნესები და ისაუბრეს იმ რისკებზე, რაც დაკავშირებულია მის დაარღვევასა და ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების პროცედურების არამართლზომიერად გამოყენებაზე.

## მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მიმდინარე წლის 13 მარტს, ასპინძის საკრებულოს თავმჯდომარის მამუკა მელიქიძის ხელმძღვანელობით, მუნიციპალიტეტში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს: 1. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის შეფასების შესახებ; 2. 2019 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტში

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში დასაფინანსებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების მონონების თაობაზე; 3. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ; დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს, რაც შეეხე-

ბა ბოლო საკითხს, – ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქეში მცხოვრები გიორგი მელიქიძის, კლიმენტი ოთანაძის და ნუგზარ ბერიძის განცხადებების განხილვა – სოფელ ნაქალაქეში მდებარე ყოფილი მეცხოველეობის ფერმის კომპლექსის შენობა-ნაგებობათა შემქნა ალიარების თაობაზე, – კენჭისყრის შედეგებით განმცხადებლებს უარი ეთქვათ, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მასა ბერიძე

## განცხადება

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა ელექტრონული კონკურსი CNT 19000023 – დაბა ასპინძაში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია და მერიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარათარიცხოვლო კომპლექსის მომსახურების შესყიდვაზე. სახელმწიფოებო ღირებულებაა 25 000 ლარი დღგ-ს გარეშე.



პირველი გვირგვინი

ენების კვირა დატვირთულია უამრავი საიდუმლოებით. ორშაბათიდან ტაძარში ტარდება მსახურებები, იკითხება თითქმის მთელი სახარება. ამით ჩვენ კიდევ ერთხელ ვიხსენებთ მაცხოვრის ამქვეყნიურ ცხოვრებას, ვნებას, აღდგომას და ამაღლებას.

დიდ სუთობათს უფალმა მაგალითი მოგვცა ქრისტიანული სიმდაბლისა და სიყვარულისა – „დაბაან ფენი მათნი“. პარასკევი ყველაზე მძიმე დღეა კაცობრიობის ისტორიაში. დღე, როდესაც ადამიანებმა, რომელთა გადასარჩენადაც განკაცდა უფალი, ჯვარს აცვეს იგი. შაბათს მოხდა მაცხოვრის საფლავად დადება. სახარებიდან ვიცით, როგორ გამოიხიზნა იესო ქრისტეს ნმინდა სხეული იოსებ არმათიელმა, როგორ შეამკვეს ნელსაცხებელი მენელსაცხებელმა დედამა. შაბათს ტაძრებში უფლის ნესის აგების რიტუალი ტარდება, რომელსაც მოუბმის ბასილი დიდის ნიწა.

გვირგვინი უფლის ნმინდა აღდგომისა არის წმ.საფლავის სამლოცველოში (იერუსალიმში) უფლის ნებით წმ.ცეცხლის გადმოსვლა და უცეცხლოდ საფლავზე დადებული საწოდებლობისა და კანდელის ანთება, მართლმადიდებელი მორწმუნეებისათვის ზეციური ნმინდა ცეცხლის გარდამოსვლა მათი რწმენის ჭეშმარიტებისა და ზოგადად, ღვთის კაცობრივობის ნიშნის წარმოადგენს. ეს არის ერთგვარი აღსრულება მაცხოვრის სიტყვებისა: „აჰა, მე თქვენთანა ვარ დღემუდამ, ვიდრე ქვეყნის დასასრულამდე.“(მათე 28-20).

აღდგომის დღესასწაულზე (ნითელ პარასკევს) მორწმუნენი კვერცხს ნითელად ლებავენ, რაც შემდეგ ისტორიას უკავშირდება:

იესო ქრისტემ, ზეცად ამაღლე-

ბამდე, თავისი მონაფეები დაავაზენა დედამიწის ყოველ კუთხეში, რათა მათ ყველასათვის ეხარებინათ მისი აღდგომის შესახებ და ამით ადამიანათვის ეხარებინათ ის, რომ ვინც ღვთის მცნებებითა და სუფთა ვაღუთი იცხოვრებს, საუკუნო სიცოცხლესაც მოიპოვებს ნეტარებაში.

საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც. მან პირველმა იხილა აღმდგარი იესო. ისიც სხვა მონაფეთა მსგავსად დადიოდა და ყველას ახარებ-

მანც რას ნიშნავს უდიდესი საიდუმლოებით მოცული ეს სასწაული, ანუ რა არის მიზეზი ჩვენი ასეთი ბედნიერებისა? მოდი ერთად გავიხაროთ, რაში მდგომარეობს ქრისტე ღმერთის აღდგომის საიდუმლოება, რომელიც იღუმალად ჩვენზეც მოქმედებს; როგორ იმარება ქრისტე ჩვენში, ვითარცა სამარხში, როგორც უერთდება ჩვენს სულს, როგორ აღსდგება იგი ჩვენში და თავისი აღდგომით ჩვენც აღვავდგენს მკვდრეთით.

# ჯვარედინი ქრისტეცხი

და ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას. ერთხელ საქადაგებლად რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიამარხა. ოდესღაც მარიამი ძალიან ცნობილი პიროვნება გახლდათ და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს იმპერატორ ტიბერიუსთან. მას აღარ აფერი არ გააჩნდა იმპერატორისათვის საჩუქრად, იესო ქრისტეს ნმინდის მტეტი. ამიტომ მასთან შეხვედრისას კვერცხი გაუწოდა იმპერატორს სიტყვებით:

ქრისტე აღდგა!  
იმპერატორმა ეჭვით შეხედა.  
– როგორ შეეძლო მკვდარს აღდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი განითავდესო, მაგრამ სიტყვები არც დაემთავრებინა, რომ კვერცხმა განითავდა იწყო. ამ დღიდან მოყოლებული ადამიანები ნითელი კვერცხით ევებებიან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მწვანე ჯვარილი ჩანსობილი ნითელი კვერცხები სიმბოლოა მარადიული სიცოცხლისა.

ქრისტე აღდგა, ჭეშმარიტად აღდგა!

უფალმა, ჩვენმა იესო ქრისტემ, ჯვარზე გაკვრით, ჯვარს აცვა მთელი მსოფლიოს ცოდვები, მოკვდა, ჩავიდა ჯვარდინის ჯვარდულში, შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის ნმინდა სხეულს, აღდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეცად მრავალი დიდებითა და ძალით. ასევე ხდება, როცა ჩვენი ვტოვებთ ამოუბას ამა ქვეყნისა. ამით, ჩვენი ქრისტე ღმერთის ჯვარცმის თანახმად ვხვდებით და ვიმარხავთ თავს სინანულისა და მორჩილების სამარხში. ღმერთი თავად ჩამოიდა ზეციდან, შედის ჩვენს გულში, როგორც სამარხში, უერთდება ჩვენს ცოდვებში მკვდარ სულს, აღდგენს მას და უბოძებს ბრწყინვალე აღდგომის დიდების ხილვისა და შეგრძნების მაღლს. ქრისტემ თავისი ბრწყინვალე აღდგომით დაამარცხა სიკვდილი და მიუტანა ადამიანებს სიხარულს დასრულებული. უფალი აღდგა მკვდრეთით და მოგვცა მაგალითი საყოველთაო აღდგომისა, ჩვენი ხელახალი დაბადებისა.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი, სადა არს, ჯოჯოხეთო ძლიერა შენი! აღდგა ქრისტე და დაიძლიერა შენი, აღ-

გა ქრისტე და დაეცნეს უმბაკნი. აღდგა ქრისტე და იხარებენ ანგლოზნი, აღდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქეობს, აღდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკვდართა განიღა არს საფლავსა შინა. აღდგა ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შეხვეწებულთა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე! ამინ! (წმინდა იოანე ოქროპირი).

ღმერთკაცი აღდგა „დაბეჭდილი საფლავიდან“ (წმ.ისიდორე პელუსიელი), მაშინ, როცა მას „ედო ბეჭედი და ქვა“ (წმ.იოანე ოქროპირი). 2000 წლის წინ მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა, ყოველად დაუტყვევებლობა განკაცდა ინება და კაცობრივი ბუნებით სიკვდილს დაექვემდებარა, ჯოჯოხეთში ჩავიდა, რათა მართალთა სულნი ეხსნა. ამ უდიდესს, ამ სოფლისათვის ჯერ კიდევ არნახულ სასწაულს არ ჰყავდა მონშეები, ისინი არც იყვნენ საჭირო. ქრისტეს ეკლესიის მთელი შემდგომი ისტორია აღდგომის ჭეშმარიტების უცილობელი და დაუღუმებელი მონშეა.

აღდგომამ გვირგვინოსანყო რა უფალი იესოს სიცოცხლე, როგორც ღმერთკაცისა, გვირგვინოსანყოფის მის ღვანლსაც, როგორც მესიისა – ქვეყნის მსხნელისა. ქრისტე აღდგა და ამით საფუძველი ჩაუყარა ჩვენს იმედებს და აღმართა იგი მინაზე უფრო მაღლა: „უკეთუ სული იგი აღმადგინებელისა იესუსი მკვდრეთით მკვიდრ არს თქვენი შორის, რომელმან აღადგინა ქრისტე მკვდრეთით, განაცხოველნეს მოკვდავნიცა ეგე ხორცი თქუენნი დამკვიდრებულისა მის მიერ თქუენ შორის სულისა მისისა“ (რომ.8—11).

უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ ჩვენივე გადარჩენისათვის გვთავაზობს, ჩავჭიდოთ ხელი მის მხსნელ მარჯვენას და ჩვენი სული და გული მისკენ მივმართოთ, რათა ღვთის

მადლით ცოდვის ჭაობს განვეშოროთ და შიგ არ დავინთქათ.

ყოველი კეთილი საქმის საფუძველი აღდგომის იმედია, სულს კეთილი საქმეებისაკენ წარმართავს. თითოეული ადამიანი, რომელსაც სწამს აღდგომისა და მომავლის საზღაურისა, ზრუნავს და იღვწის თავისი სულისათვის. მას ვისაც არ სწამს აღდგომისა და მომავალი სამსჯავროსი, მიეცემა ცოდვას და სულთერად დაიღუპება.

„ღმერთი სულია – წერს პავლე მოციქული – და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“. ადამიანის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისუფლებისათვისა დაბადებული და მონიჭებული აქვს არჩევანის შესაძლებლობა კეთილსა და ბოროტს, სინმინდესა და ცოდვას, სიკვდილსა და მარადიულობას შორის.

თავისუფლების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავისი სურვილით გაცნობიერებულად, სიყვარულით დაუმორჩილოს თავისი ნება უფლის ნებას, ასე რომ თითოეული ჩვენგანს შეუძლია გახდეს მორწმუნე და ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი.

ვინც გულწრფელად ეძებს სამყაროსა და თავის არსებობის მიზეზსა და მიზანს, ვისაც მთელი არსებით სურს ჭეშმარიტების შეცნობა ადრე თუ გვიან მანც იპოვოს უფლისა და გააცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება გაბრწყინებული უნდა იყოს აღდგომის ნათობი და ქრისტეში მარადიული ნეტარების დამკვიდრებით.

ქრისტე აღდგა!  
ჭეშმარიტად აღდგა!

ხელით ნმინდა გვირგვინისა  
სახელობის ტაძრის ნინამღვარი,  
დეკანოზი  
ზოსიმი (პაცაძე)

## ასპინძის ღვთის დღე აღინიშნა

21 მარტს დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ღონისძიება სახელწოდებით „46+1=მრავალფეროვნებას“ გაიმართა.

აქციას ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

აქციაში მონაწილეობას ღებულობდნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული ა (ა) იპების თანამშრომლები.



აქცია ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ფორიში მოეწყო. დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ სოლიდარობის ნიშნად თანამშრომლებმა ხელზე ფერადი ნინდები გაიკეთეს და ფორმატის ფურცლებზე ხელის ანაბეჭდები დააფიქსირეს. შეკრებილ საზოგადოებას ინფორმაცია ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის წარმომადგენელმა მედეა ქავთარაძემ

მიანდა იმის შესახებ, თუ რა არის დაუნის სინდრომი, რა იწვევს და როგორი დამახასიათებელი თვისებები აქვს მას, ასევე, როგორ შეიძლება დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ღონისძიება გაგრძელდა ასპინძის მთავარ ბიბლიოთეკაში და საბავშვო-ბავშვში. სადაც მოეწყო საინფორმაციო სტენდები სახელწოდებით „მითითი დაუნის სინდრომის შესახებ“.

აღნიშნული აქციის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ და თვითმმართველი ერთე-

ულის წარმომადგენლებმა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები დაბა ასპინძის N1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში გაერთიანებაში მოინახულეს და მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დაუნის სინდრომის მქონე 18 წლამდე ასაკის 2 აღსაზრდელს გადასცეს ერთჯერადი ფულადი დახმარება 200-200 ლარის ოდენობით.

დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე პირველად 2006 წლის 21 მარტს აღინიშნა. დღე და თვე შემთხვევით არ აურჩევიათ: თარიღი 21-ე ქრომოსომას აღნიშნავს, ხოლო მარტი, როგორც ნელინადის მესამე თვე – ტრისომიულ მოვლენას.

## „ეტილონი – 2019“-ის გამარჯვებული გამოვლინდა



ფინალურ შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას.

ღონისძიებას ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა მელიქიძე, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის უფროსი ოთარ ცინაძე, რესურსცენტრის უფროსი ტრისტან მურადაშვილი, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

ეტილონის მთავარი მიზანი ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათი მოტივებაა.

ინტელექტ-შეჯიბრი „ეტილონი – 2019“ ასპინძის მუნიციპალიტეტის სახელით ქალაქ თბილისში გრანდიოზულ



ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ ჩემპიონატის წამყვანს გოჩა ტყეშელაშვილს და გამარჯვებულ ეტილონი-მოსწავლეს ირაკლი მაზმიშვილს მერიის სახელით საჩუქრად გადასცა ახლახან გამოქვეყნებული ნინები – „მესხეთი ქართულ პოეზიაში“.

## ქალბატონებს მიულოცეს



ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ფართლაძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს და ყვავილები გადასცეს დაბა ასპინძაში მზრუნველობა მოკლებულთა ერთჯერადი სასაძილოს უფასო კვების ბენეფიციარ ქალბატონებს.

მათვე ყვავილებით მიულოცეს ეს დღე შპს „ასპინძის კეთილმოწყობის“ თანამშრომელ მეუღლეს ქალბატონებს, სასწრაფო დახმარებისა და „უნიმედი სამცხის ასპინძის სამედიცინო ცენტრის“ მედ-პერსონალსა და დაწესებულებაში მყოფ პაციენტ ქალბატონებს.

## სტუმრად პატარაბავშვები

თიანების N1 და N2 საბავშვო ბაღებს ესტუმრნენ.

აქციის ფარგლებში მერიის თანამშრომლებმა საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის ჯგუფებში ბავშვებს ნინები წაუკითხეს.

შეხვედრის ბოლოს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ სასკოლო მზაობის ჯგუფებს საჩუქრად ნინები და გასაფურადებელი რეგულაციები გადასცა.



მურწმუნობის სამინისტროს ასპინძის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის ამირან ლაზარაშვილის პროექტი იყო, რომელმაც წარმატებით გაიარა საკონკურსო მოთხოვნები და მიიღო დაფინანსება მრავალი ფრაქციანი მარცხელული და პარკოსანი კულტურების სათესლე მასალის სარჩევი მანქანის შესაძენად. დანადგარი მნიშვნელოვანი მაღალხარისხიანი და კონდიციური თესლის წარმოებისათვის, რაც გარანტია იძლევა მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღებაზე.

შექმნილი დანადგარი მოემსახურება მუნიციპალიტეტის ყველა ფერმერს, ვისაც მისი გამოყენების სურვილი ექნება.

## გრანტი გამარჯვებული კონკურსანტისათვის

დიდი ხანია იაპონიის სახელმწიფო, მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანას და მათ შორის საქართველოსაც დახმარების ხელს უწვდის, როგორც მატერიალური ისე ინტელექტუალური განვითარების კუთხით, საქართველოში იაპონიის საელჩოსთან ერთად აქტიურად თანამშრომლობს ასევე იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA), რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. დახმარებას ძირითადად გრანტების სახით ხდება, რა თქმა უნდა წარმოდგენილი პროექტების საფუძველზე შესასრულებლად კომპეტენტური კომისიის დასავლეთის



საფუძველზე.

ოლღა პერიძე







# საზოგადოებრივი აქტიურობა

ტრადიციულად ასპინძის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი აქტიურობის განხორციელება, როგორც დედის, ასევე ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, კერძოდ, ასპინძის კულტურის ცენტრში გაიმართა დიდი კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღო როგორც დაბაში მცხოვრები ქალბატონები, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებიც, ღონისძიებას ძირითადად მასპინძლობდა მუნიციპალიტეტის მერია და ამის

ნიშნად მათმა წარმომადგენლებმა მომზადებულ თითოეულ ქალბატონს საჩუქრად ყვავილები გადასცეს.

საზეიმო ღონისძიებაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დედის და ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე მიულოცა დამსწრე საზოგადოებას და შემდეგ სცენა დაუთმო ადგილობრივ შემსრულებლებს, მათ შორის საზე-

იმო კონცერტში მონაწილეობას ლებულოდნენ ა(ა)იპ „ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულება“ გაერთიანება – კულტურის ცენტრის“ თანამშრომლები.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა.

## ღიღასის დაგეგმვის პროცესი

მარტი თვისი მნიშვნელობით ყოველთვის გამოირჩეული და მნიშვნელოვანი თვეა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის გაზაფხულის პირველი თვეა და, მეორეც, იმიტომ, რომ სწორედ ამ თვეში აღინიშნება თითოეული ადამიანისათვის ძვირფასი დღეები – „დედის დღე“ და „ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე“.

სოფელ აწყვიტაშიც განსაკუთრებულად საზეიმოდ აღინიშნა ეს დღეები: – საჯარო სკოლაში სპეციალურად მოეწესრიგა ამ დღის ღონისძიებად აღნიშნისათვის, რომელიც, გვევრა, რომ დიდხანს ემასხვრება როგორც თითოეულ მონაწილეს, ასევე დამსწრე საზოგადოებასაც, რადგან, იგი, წინა წლებიდან განსხვავებით, უფრო ორიგინალურად აღვნიშნეთ. ღონისძიების ძირითადი მონაწილეები მეორე კლასის მოსწავლეები იყვნენ. თითოეულ მონაწილეს ქალბატონს, მასწავლებელსა და სოფლის მცხოვრებს, მათ მიერვე დამზადებული მოსახვევი ბარათები დაეგზავნათ. მოსწავლეთა ძალებითვე იქნა გაფორმებული დარბაზიც.

კლასის ხელმძღვანელმა საინტერესო მოხსენება გააკეთა ამ ორი სადღესასწაულო დღის დაარსებისა და მათი მნიშვნელობის თაობაზე, ისაუბრა ქალის როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი გამოყო ის ქართველი ქალები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენს ქვეყნის ისტორიაში, ქება მას არც სოფლის სასახელო ქალებისთვის დაუკლია.

შემდეგ მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი იქნა მონტაჟი (მათ მიერვე შედგენილი

ლექსებისა და ტექსტების გამოყენებით). გარდა ამისა, მათვე წარმოადგინეს თეატრალური სანახაობა – „კრუხი და მელია“, „ბაჭია ეძებს მეგობარს“.

უფრო მრავალფეროვანი რომ გაეხადათ საზეიმო ღონისძიება, აღნიშნული წარმოდგენის შემდეგ გამართეს მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრთა მონაწილეობით კონკურსი, რომელშიც მათთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მშობლებმაც. გამარჯვებულებს (მოსწავლეებს) გადაეცათ სიგელები, ხოლო მშობლებს – სამახსოვრო საჩუქრები.

წლებიდანვე ღონისძიება განსაკუთრებით იმით იყო საყურადღებო, რომ, როგორც აღინიშნა, ტექსტობრივი მასალა მთლიანად შედგენილი იქნა მოსწავლეთა მიერ, რომელმაც დაგვანახა, რომ მათში მწერლური და პოეტური ნიჭია, რაც ბევრ რამეზე მიგვიანიშნებს და ჩვენგან მათ მეტი ყურადღება და მხარდაჭერა ჭირდება. საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანს წარმოგიდგინოთ: „ირინა გრძელთმიანი, // ლამაზი და ბაფთიანი, // დარბის, დაჰქრის როგორც ქარი, // ღია რჩება კლასის კარი“... „თათიაა ბაჩა, // ღამე გარეთ დარჩა, // იქ მივიდა ინდაური, // ათამაშა კინტაური“... „მელაკუდამ დაინახა // წინაღობი ველადა, // სოროსაკენ მიიტყუა, // ყველას შესაქმელადა“... „წივ, წივ, წივ, წივ, დედიკონა, // უკვე კარგად მივხვდით ყველა, // რომ არ წავეყვებოდა // თავის სორო-კერასა“ და ა.შ.

ესმა ჯვარციძე,  
სოფელი აწყვიტა

## ახალი გამოცემები

ახლახან ასპინძის მთავარმა ბიბლიოთეკამ ახალი წიგნები მიიღო და შეგიძლიათ ისარგებლოთ ამ ლიტერატურით:  
ლოჯსონი – რაფლეზია. თბ.: პალიტრა, 2017 – 138გვ.

ექვთიმოშვილი ნ. – მსხლელების მინდორი. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2015–222გვ.  
ვერმესი ტ. – ის კვლავ აქ არის. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2015–384გვ.  
ზარქუა ჯ. – ბოლოს იყო სიტყვა. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2017–132გვ.  
იოსებშიძე ნ. – ცრემლიანი ღიმილი. თბ.: კოლორი, 2011–303გვ.

კეკელიძე გ. – LILO & ANGEL. თბ. ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2018–140გვ.  
კოტეტიშვილი ვ. – აკლდამა ჩემთა ოცნებათა. თბ.: ინტელექტი, 2015–161გვ.

მეგრელიშვილი გ. – საქართველოს ალტერნატიული რუკა. თბ.: ინტელექტი, 2018–367გვ.

მამაცაშვილი ი. – ყრუთა ქვეყანა. თბ.: პალიტრა, 2018–205გვ.

მორჩილაძე ა. – კუბიდონი კრემლის კედელთან. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2018–327გვ.

მორჩილაძე ა. – ძველი გულებისა და ხმლისა. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2017–149გვ.

ნიკოლეიშვილი ა. – XIX საუკუნის ქართული მწერლობა. თბ.: საქართველოს მაცნე, 2018–688.

პატარიძე რ. – ქართული ასომთავრული. თბ.: პალიტრა, 2018–299.

რთველიაშვილი ზ. – პოეზიის დიქტატურა. თბ.: ინტელექტი, 2017–138გვ.

ჩარკვიანი ი. – მშვიდი ცურვა. თბ.: ინტელექტი, 2018–180გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი თბილისი. თბ.: პალიტრა, 2016–149გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 1 აჭარა თბ.: პალიტრა, 2015–149გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 2 გურია თბ.: პალიტრა, 2015–150გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 3 იმერეთი თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 4 კახეთი თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 5 მცხეთა მთიანეთი თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 6 სამეგრელო თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 7 სამეგრელო. თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 8 სამცხე-ჯავახეთი. თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 9 სვანეთი თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 10 ქვემო ქართლი. თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 11 შიდა ქართლი. თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩემი საქართველო. ფოტო ალბომი 12 ტომად ტ. 12 აფხაზეთი. თბ.: პალიტრა, 2016–152გვ.

ჩიხლაძე ე. – დასახვერტი საქმე. თბ.: აზრი, 2017–256გვ.

წერეთლიანი დ. – თემა და ვარიაციები. თბ.: ინტელექტი, 2018–218გვ.

ჯიშკარიანი ზ. – სალექციო განთიადები. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2017–192გვ.

ხარანაული ბ. – ლექსები. თბ.: ინტელექტი, 2014–147გვ.

საინფორმაციო მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილება

## სკოლში წაქაჩაწაქაჩა საცხარტაჩაჩა რაჩაჩაჩით იასკარაჩაჩა



ახალციხის სასპორტო სკოლაში, „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“-ის ფარგლებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის, ხელბურთში რეგიონული შეჯიბრებები გაიმართა. ჩემპიონობისთვის მონაწილეობას ლებულოდნენ ასპინძისა და ადიგენის საჯარო სკოლების გუნდები. პირველი ადგილი ვაჟებს შორის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა, მეორეზე

ადიგენის საჯარო სკოლის გუნდი გავიდა. გამარჯვებული გუნდები მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. პირველ ადგილზე გასული გუნდები კი ზონალურ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებას ულოცავს ნაქალაქევის საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდს, მათ მწვრთნელს და იმედოვნებს, რომ მომავალშიც დიდი წარმატებებს მიაღწევენ.

## ყველაზე ხანდაზმულ ქალბატონს მიულოცეს

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ, მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ფართლამძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთში მცხოვრებ 103 წლის უხუცეს ქალბატონს თამარ ჯვარიძეს და საჩუქრად ტორტი და ყვავილები მიუტანეს.



## მესხეთის თეატრის ახალი სპექტაკლი

ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც მესხეთში აღორძინდა და კულტურის განვითარების საქმეში დიდ საშვილიშვილო საქმეს ეწევა მესხეთის სახელმწიფო

თეატრალურმა დასმა მაყურებელს კიდევ ერთი დასამახსოვრებელი სპექტაკლი – „მშვიდი ღამე“, წარუდგინა მაყურებელს, რომელშიც მთავარ როლს საქართველოს



დრამატული თეატრი, რომელთა მიერ წარმოდგენილი თითოეული სპექტაკლი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ მაყურებლებზე და ამიტომაც არის, რომ მათ სტუმრობას ყოველთვის დიდი ინტერესით ელიან.

ახლახან ასპინძის კულტურის ცენტრში დამსახურებული არტისტი, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლია სულუაშვილი ასრულებდა.

აღნიშნულ სპექტაკლს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ინფორმაციები მოგვანოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია